ფორთოხლის ჟელე

გიყვარს კანნინფეტი? იცი, რომ ზოგის მომზადება სახლშიც შეგიძ-ლია? წაიკითხე ტექსტი და გაეცანი ერთ-ერთი კამფეტის რეცეპტს.

ჟელეს კანფეტი ძალიან გემრიელია. გარდა ამისა, მისი მომზადება **ადვილიც** არის. ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოცემული რეცეპტი. იყიდე ამ რეცეპტის მიხედვით ყველა საჭირო პროდუქტი. შემდეგ კი შეუდექი საქმეს.

რეცეპტი

საჭირო პროდუქტი:

შაქარი — 150 გრამი;

ფორთოხალი – 3 ცალი;

ლიმონი — ნახევარი;

ჟელატინი — 25 გრამი;

წყალი — 4 ჩაის ჭიქა.

მომზადების წესი:

- ❖ ჟელატინს დაასხი ცხელი წყალი.
- ❖ ცალკე გაწურე ფორთოხალი და ლიმონი. წვენი ჩაასხი ჭიქაში.
- ❖ ფორთოხლისა და ლიმონის დარჩენილი **ქერქი** ჩაყარე ქვაბში. დაასხი ცივი წყალი. დადგი ცეცხლზე და ადუღე მხოლოდ ერთ წუთს.
- ❖ 40-45 წუთის შემდეგ ქვაბში მხოლოდ ნახარში დატოვე. ხილის ქერქი აღარ გჭირდება. ნახარშს დაუმატე შაქარი და ჟელატინიანი წყალი. ისევ დადგი ცეცხლზე, მაგრამ არ აადუღო.
- ❖ შემდეგ დაუმატე ფორთოხლისა და ლიმონის წვენი.
- ❖ ჩაასხი ჟელე ფორმებში და შედგი მაცივარში 5-6 საათით.

გახსოვდეს, ცეცხლი ბავშვისთვის საშიშია. ამიტომ კარგი იქნება, თუ ჟელეს კამფეტს უფროსთან ერთად გააკეთებ. იმედია, გემრიელი კამფეტი გამოგივა. მთავარია **ზუსტად** დაიცვა ყველა **მითითება**.

რისთვის არის საჭირო რეცეპტი?

დონე: *A გამართული*, **კომპონენტი:** *თანამიმდევრობა*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ფორთოხლის ჟელეს რეცეპტში:

ა) ახსნილია, რატომ არის ჟელეს კამფეტი გემრიელი.

ბ) მოცემულია გაფრთხილება, რომ ცეცხლი საშიშია.

გ) ჩამოთვლილია მასალა, რომელიც უნდა გამოიყენო.

2 როგორც კი ფორთოხლისა და ლიმონისგან წვენს გამოწურავ, ჯერ:

ა) ქერქს დაასხი წყალი და წამოადუღე.

ბ) ჟელე ჩაასხი ფორმებში და შედგი მაცივარში.

გ) ჟელატინს დაასხი ცხელი წყალი.

3 ფორთოხლის ჟელეს მომზადების ბოლო ნაბიჯია:

ა) ნახარშში ჟელატინიანი წყლის ჩასხმა.

ბ) ჟელატინისთვის ფორთოხლის წვენის დამატება.

გ) ჟელეს ჩასხმა ფორმებში და მაცივარში შედგმა.

4 ყველაზე მთავარი რამ, რასაც იგებ ამ ტექსტიდან, არის:

ა) როგორ უნდა მომზადდეს ჟელეს კამფეტი.

ბ) როდის უნდა გადავწუროთ ქერქის ნახარში.

გ) რომელი ტკბილეული უყვართ ბავშვებს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. რეცეპტით კამფეტის მომზადება **ადვილია.**
   ა) მარტივია. ბ) რთულია. გ) საინტერესოა.

2. მითითება **ზუსტად** უნდა შეასრულო.
   ა) სიამოვნებით. ბ) სწორად. გ) სწრაფად.

3. რეცეპტში მოცემულია რამდენიმე **მითითება.**
   ა) მოსაზრება. ბ) პროდუქტი. გ) რჩევა.

4. ფორთოხლის **ქერქი** ჰქვია:
   ა) მის გარეთა მაგარ ნაწილს.
   ბ) მის შიგნითა რბილ ნაწილს.
   გ) მისი გაწურვით მიღებულ ნარჩენს.

2 რა ჩანს სურათზე?

ა) ასხამს წყალს ჭიქაში.
ბ) ყრის შაქარს ჭიქაში.

ა) ადუღებს წვენს.
ბ) წურავს ლიმონს.

4 დაწერე ერთი სიტყვით.

ნიმუში: *ქვაბი, ჭიქა, თეფში არის* ***ჭურჭელი****.*

ფორთოხალი, ლიმონი, ვაშლი არის ----------.

გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

1. ---------- დაასხი ცხელი წყალი.

   ა) ჟელატინი. ბ) ჟელატინის. გ) ჟელატინს.

2. ჩაასხი ჟელე ----------.

   ა) ფორმებზე. ბ) ფორმებთან. გ) ფორმებში.

2 რომელია სწორი ფორმა?

1. ა) ფორთოხლის. ბ) ფორთოხალის.
2. ა) წყალის. გ) წყლის.
3. ა) შაქარის. გ) შაქრის.

3 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ***ფორთოხლის გაწურვა.*** ***(ფორთოხალი)***

1. ---------- ჩასხმა. ***(წვენი)***
2. ---------- ჩაყრა. ***(ქერქი)***
3. ---------- ადუღება. ***(წყალი)***
4. ---------- დამატება. ***(შაქარი)***

წერა

დააკვირდი ნიმუშს. ტექტის მიხედვით ჩამოწერე ფორთოხლის ჟელეს მომზადების თი-თოეული ნაბიჯი თანამიმდევრობით.

ნაბიჯი 1.	ნაბიჯი 2.	ნაბიჯი 3.	ნაბიჯი 4.	ნაბიჯი 5.	ნაბიჯი 6.
ჟელატინის წყალში გახსნა.	ფორთოხლის გაწურვა.				